

სარეგისტრაციო კოდი _____

საქართველოს მთავრობის

**დადგენილება №
2015 წლის _____ ქ. თბილისი**

**წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების
დადგენის წესის დამტკიცების შესახებ**

მუხლი 1

საქართველოს კანონის წყლის რესურსების მართვის შესახებ მე-3 კარის, მე-13 თავის, 43-ე მუხლის „1.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს „წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის“ თანდართული წესი (დანართი № 1).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2015 წლის _____ის
N_____ დადგენილებით

დანართი № 1

წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წყის თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დადგენილების მიზანი

საქართველოს კანონის „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ შესაბამისად, წყლის ობიექტები წარმოადგენს წყლის რესურსების მართვის საბაზო ერთეულს. დადგენილების მიზანია განსაზღვროს წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და მათი საზღვრების დადგენის წესი.

წყლის ობიექტების იდენტიფიკაციის ძირითადი მიზანია, მდინარეთა აუზების მართვის დაგეგმვის პროცესში მოგვცეს ამ ობიექტების კლასიფიკაციის, სტატუსის ზუსტი აღწერისა და ეკოლოგიურ ამოცანებთან შედარების საშუალება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა. ზედაპირული წყლის ობიექტი - ზედაპირული წყლის განცალკევებული და მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორცაა ტბა, წყალსაცავი, ნაკადული, მდინარე ან არხი, ტბის, წყალსაცავის, ნაკადულის, მდინარის ან არხის ნაწილი, გარდამავალი წყალი ან სანაპირო წყლის უბანი, რომელსაც გააჩნია საზღვრები, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის მახასიათებლები;

ბ. მიწისქვეშა წყლის ობიექტი - გარკვეული რაოდენობის ცალკეული მიწისქვეშა წყალი წყლიანი ფენის ან ფენების ფარგლებში, რომელსაც გააჩნია საზღვრები, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის მახასიათებლები;

გ. ზედაპირული წყლები – შიდა წყლები (მიწისქვეშა წყლების გარდა), გარდამავალი წყლები და სანაპირო წყლები;

დ. მიწისქვეშა წყალი - დედამიწის ქერქის ზედა ნაწილის ქანებში თხევად, მყარ და აირად მდგომარეობაში არსებული წყალი, რომელიც თავმოყრილია ფხვიერ, ფორიან და ან ნაპრალოვან ქანებში, აგრეთვე, კარსტულ სიცარიელებში;

ე. წყალშემცველი ჰორიზონტი - საკმარისი ფოროვნების და გამავლობის მქონე გეოლოგიური პლასტის ზედაპირქვეშა ფენა, რომელიც უზრუნველყოფს მიწისქვეშა წყლის მნიშვნელოვან ნაკადს ან მნიშვნელოვანი რაოდენობის მიწისქვეშა წყლის აბსტრაქციას;

ვ. წყლის რესურსები – ზედაპირული (მათ შორის ხელოვნური წყლის ობიექტების) და მიწისქვეშა წყლების ერთობლიობა;

ზ. შიდა წყლები – ხმელეთის ზედაპირზე არსებული გაუმდინარე ან გამდინარე წყლები და მიწისქვეშა წყლები. შიდა წყლები მოიცავს მდინარეებს და ტბებს, წყალსაცავებს, სხვა ბუნებრივ და ხელოვნურ ზედაპირულ წყალსატევებს, არხების და ტბორების წყლებს, აგრეთვე მყინვარებსა და თოვლის მუდმივ საფარს და ჭაობებს;

თ. ტრანსსასაზღვრო წყლები - ნებისმიერი ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, რომელიც აღნიშნავს, ან კვეთს საზღვარს სახელმწიფოებს შორის ან განლაგებულია ასეთ საზღვრებზე;

ი. გარდამავალი წყლები – ზღვის შესართავებთან ახლომდებარე ზედაპირული წყლები, რომლებიც ხშირად დამლაშებულია სანაპირო წყლების ზეგავლენის გამო, მაგრამ რომლებიც, ამავე დროს, მნიშვნელოვნად არის გაჯერებული მტკნარი წყლებით;

კ. სანაპირო წყლები – ნაპირის ხაზიდან ზღვის მიმართულებით ერთი საზღვაო მილის მანძილზე არსებული ზედაპირული წყლები;

ლ. ხელოვნური წყლის ობიექტი - ადამიანის მიერ შექმნილი ზედაპირული წყლის ობიექტი;

მ. ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტი - ზედაპირული წყლის ობიექტი, რომელმაც ადამიანის ქმედებით გამოწვეული ფიზიკური ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა თავისი ბუნება.

ნ. ეკოლოგიური ამოცანები - საქართველოს კანონის წყლის რესურსების მართვის შესახებ 30-ე მუხლით გათვალისწინებული ამოცანები, რომელიც დგინდება მდინარეთა აუზების მართვის გეგმების შემუშავების პროცესში წყლის თითოეული ობიექტისათვის და მიმართულია მათი სტატუსების გაუმჯობესებისკენ;

ო. ზედაპირული წყლის სტატუსი (მდგომარეობა) – ზედაპირული წყლის ობიექტის სტატუსის ზოგადი გამოხატულება, რომელიც განისაზღვრება მისი ეკოლოგიური და ქიმიური სტატუსებიდან უფრო ცუდი სტატუსის მიხედვით;

პ. მიწისქვეშა წყლის სტატუსი – მიწისქვეშა წყლის ობიექტის სტატუსის ზოგადი გამოხატულება, რომელიც განისაზღვრება მისი რაოდენობრივი და ქიმიური სტატუსებიდან უფრო ცუდის მიხედვით;

ჟ. ეკოლოგიური სტატუსი – ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებული წყლის ეკოსისტემების სტრუქტურის და ფუნქციონირების ხარისხის გამოხატულება;

რ. მდინარის აუზი – ხმელეთის ტერიტორია, საიდანაც ჩამონადენი ზედაპირული მტკნარი წყალი ჰიდროლოგიურად ურთიერთდაკავშირებული წყლის ნაკადების, მდინარეების, ტბების ან სხვა წყალსატევების გავლით უერთდება ზღვაში ან ტბაში ჩამდინარე მდინარეს;

ს. სააუზო უბანი - ხმელეთის ან ზღვის ტერიტორია, რომელიც მოიცავს ერთ ან რამოდენიმე მომიჯნავე მდინარის აუზს, მათთან ასოცირებულ მიწისქვეშა და სანაპირო წყლებს და წარმოადგენს მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის მთავარ ერთეულს.

ტ. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) - წყლის რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი ცენტრალური ორგანო;

უ. ზედაპირული წყლის ობიექტების კატეგორიები - მდინარეები, ტბები, გარდამავალი წყლები, სანაპირო წყლები, ხელოვნური წყლის ობიექტები და ძლიერ მოდიფიცირებული ზედაპირული წყლები;

მუხლი 3. წყლის ობიექტების იდენტიფიკაციის საფუძველი

წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია პირველ რიგში გეოგრაფიულ და ჰიდროლოგიურ დეტერმინანტებს უნდა დაეფუძნოს. ამასთან, წყლის ობიექტის იდენტიფიკაციამ და შემდგომმა კლასიფიკაციამ შესაძლებელი უნდა გახადოს მისი გეოგრაფიული არეალის საკმარისად ზუსტი აღწერა და წყლის ობიექტის მიერ მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის ღონისძიებების დაგეგმვა.

წყლის ობიექტები ექვემდებარება მათთვის დადგენილი სტატუსისა და ამ სტატუსის შენარჩუნებისა ან გაუმჯობესების ღონისძიებების რეგულარულ შეფასებას.

მუხლი 4. წყლის ობიექტების პირველადი იდენტიფიკაციის და შემდგომი გადახედვის ვადები

წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია განმეორებადი პროცესია. წყლის ობიექტების პირველადი იდენტიფიკაცია და საზღვრების დადგენა უნდა მოხდეს შესაბამისი მდინარის აუზის მართვის პირველი გეგმის შედგენის პროცესში, კერძოდ კი სააუზო ტერიტორიის ერთეულის ანალიზისას, როდესაც მოხდება თითოეული წყლის ობიექტის სტატუსის აღწერა. წყლის ობიექტების იდენტიფიკაციის შემდგომი

გადამოწმება და დახვეწა უნდა მოხდეს მდინარის აუზის მართვის გეგმების განახლებისას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - დაუყოვნებლად.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა წყლის ობიექტების იდენტიფიკაციასა და საზღვრების დადგენაზე

წყლის ობიექტების იდენტიფიკაციას და საზღვრების დადგენას ამ წესის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

თავი II

ზედაპირული წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის პროცედურა და პრინციპები

მუხლი 6. ზედაპირული წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის პროცედურა

წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და მათი საზღვრების დასადგენად პირველ რიგში უნდა მოხდეს ზედაპირული წყლის კატეგორიების საზღვრების დადგენა რათა თავიდან ავიცილოთ წყლის ობიექტების მიერ ზედაპირული წყლის კატეგორიების საზღვრების გადაკვეთა.

შემდეგ, თითოეულ სააუზო უბანში უნდა მოხდეს ზედაპირული წყლის ტიპების¹ საზღვრების დადგენა.

შემდეგ უნდა მოხდეს წყლის ობიექტების განცალკევება. ამისთვის უნდა მოხდეს განცალკევება იმ ფიზიკური მახასიათებლებით (გეოგრაფიული და ჰიდრომორფოლოგიური), რომელიც მნიშვნელოვანია იდენტიფიკაციის მიზნებისთვის.

შემდეგ უნდა მოხდეს იმ ინფორმაციის გათვალისწინება, რაც მნიშვნელოვანია ზედაპირული წყლის სტატუსის² დასადგენად. თავდაპირველად, სტატუსის შესახებ ინფორმაციის არარსებობის პირობებში, სტატუსის ცვლილების სავარაუდო მონაცემებს გვაწვდის ზეწოლისა და ზეგავლენის შეფასების³ შედეგები. მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე კი შესაძლებელია სტატუსის საფუძველზე დადგენილი საზღვრების დაზუსტება.


¹ EU წყლის ჩარჩო დირექტივა, დანართი 2. პუნქტი 1.1.

² EU წყლის ჩარჩო დირექტივის სახელმძღვანელო დოკუმენტი #13 “წყლის სტატუსების კლასიფიკაცია და ეკოლოგიური პოტენციალი”

³ EU წყლის ჩარჩო დირექტივის სახელმძღვანელო დოკუმენტი #3 “ზეწოლა-ზემოქმედების ანალიზი”

წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისას გამოყენებულ უნდა იქნას მრავალჯერადი და გამეორებადი მიდგომა. ამავე დროს, მდინარის აუზის მართვის გეგმის შედგენის მიზნით, საჭიროა წყლის ობიექტების საზღვრების საბოლოოდ დადგენა. სავალდებულოა იდენტიფიკაციის პროცესის მრავალჯერად განმეორებას და წყლის ობიექტების საზღვრების საბოლოოდ დადგენას შორის ბალანსის უზრუნველყოფა.

წყალთან დაკავშირებული ეკოლოგიური მიზნები უკავშირდება უშუალოდ წყლის ობიექტებს. თუ წყლის ობიექტი ისე იდენტიფიცირდა, რომ ვერ ხერხდება მისი სტატუსის⁴ ზუსტი აღწერა, წყლის ამ ობიექტთან დაკავშირებული მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა შეუძლებელი გახდება. (სურ. 1)



სურათი 1: ილუსტრაცია, თუ როგორ ეშლება ხელი წყლის ობიექტების ეკოლოგიური მიზნების შესრულებას მათი არასწორი იდენტიფიკაციის შემთხვევაში

ადმინისტრაციული რესურსების დაზოგვის მიზნით, უნდა ვერიდოთ წყლის ობიექტების უსასრულო დაყოფას ქვე-ობიექტებად თუ ეს დაყოფა არ ემსახურება წყლის მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევას. გარკვეულ სიტუაციებში მიწანშეწონილია წყლის ობიექტების გაერთიანება ადმინისტრაციული დატვირთვის შესამცირებლად, განსაკუთრებით მცირე ზომის წყლის ობიექტების შემთხვევაში.


⁴ EU წყლის ჩარჩო დირექტივის სახელმძღვანელო დოკუმენტი #13 "წყლის სტატუსების კლასიფიკაცია და ეკოლოგიური პოტენციალი"

მუხლი 7. ზედაპირული წყლის იდენტიფიკაცია წყლის ობიექტებად

7.1 ზედაპირული წყლის ობიექტებად იდენტიფიკაცია განცალკევებულობისა და მნიშვნელობის პრინციპის გათვალისწინებით

ზედაპირული წყლის ობიექტის იდენტიფიკაცია უნდა მოხდეს მისი განცალკევებულობის და მნიშვნელობის საფუძველზე. ზედაპირული წყლის ყოველი იდენტიფიცირებული ობიექტი უნდა წარმოადგენდეს ზედაპირული წყლის განცალკევებულ ელემენტს. ზედაპირული წყლის ობიექტები არ უნდა გადაფარავდნენ ერთმანეთს ან არ უნდა შედგებოდნენ ზედაპირული წყლის ისეთი ელემენტებისგან, რომლებიც გეოგრაფიულად გადაბმული არ არიან.

ზედაპირული წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისას, განმაცალკევებულ ელემენტად გამოყენებული უნდა იყოს ის ფიზიკური მახასიათებლები (გეოგრაფიული და ჰიდრომორფოლოგიური), რომლებიც სავარაუდოდ მნიშვნელოვანია იდენტიფიკაციის მიზნებისთვის. მაგალითად, მდინარის ერთი ნაწილის მეორესთან შერთვის ადგილი შეიძლება ქმნიდეს წყლის ობიექტის გეოგრაფიულად და ჰიდრომორფოლოგიურად გამოკვეთის საზღვარს. (სურათი 2)




სურათი 2: წყლის ობიექტის საზღვრის დადგენა ზედაპირული წყლის კატეგორების საზღვრების მიხედვით

ზედაპირული წყლის ობიექტის იდენტიფიცირებისას მხოლოდ განცალკევების კომპონენტი არ არის საკმარისი. განცალკევებულთან ერთად წყლის ობიექტი უნდა იყოს მნიშვნელოვანი ობიექტიც. გარდა ამისა, გარკვეულ

სიტუაციებში შეიძლება მოხდეს წყლის ობიექტების აგრეგაციის პირობების ამოქმედება, განსაკუთრებით მცირე წყლის ობიექტების შემთხვევაში, მე-4 თავის მე-13 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.2 ზედაპირული წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია ზედაპირული წყლის კატეგორიებისა და ტიპების გათვალისწინებით


ზედაპირული წყლის ობიექტი უნდა მიეკუთვნებოდეს ზედაპირული წყლის რომელიმე ერთ კატეგორიას (მდინარე, ტბა, გარდამავალი წყლები, სანაპირო წყლები, ხელოვნური და ძლიერ მოდიფიცირებული ზედაპირული წყლის ობიექტი). ზედაპირული წყლის ობიექტი არ შეიძლება შედგებოდეს ზედაპირული წყლის სხვადასხვა კატეგორიებისგან. იქ, სადაც ერთი კატეგორია გადადის მეორეში, უნდა გაივლოს წყლის ობიექტის საზღვარიც. (სურათი 3)



სურათი 3: წყლის ობიექტების საზღვრების დადგენა წყლის ობიექტების კატეგორიის მიხედვით

ზედაპირული წყლის ობიექტი არ უნდა კვეთდეს საზღვრებს ზედაპირული წყლის ობიექტების ტიპებს შორის, ანუ არ უნდა ხასიათდებოდეს სხვადასხვა სტატუსით. ის წყლის ობიექტის ერთ რომელიმე ტიპს⁵ უნდა მიეკუთვნებოდეს.

ზედაპირული წყლის განცალკევებულ ელემენტად შეიძლება მოხდეს ტბის ან გარდამავალი წყლის ნაწილის გამოყოფა და მისი ცალკე წყლის ობიექტად იდენტიფიცირება. მაგალითად, თუ ტბის რომელიმე ნაწილი განსხვავდება მისი დანარჩენი ნაწილებისგან, ასეთი ტბა ერთზე მეტ ზედაპირული წყლის ობიექტად უნდა დაიყოს. (სურათი 4)




სურათი 4: ტბის დაყოფა ტიპობრივი საზღვის საფუძველზე

7.3 ზედაპირული წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია სტატუსის განსხვავებების გათვალისწინებით

ზედაპირული წყლის განცალკევებული ობიექტი არ უნდა შეიცავდეს სხვადასხვა სტატუსის⁶ მატარებელ მნიშვნელოვან ელემენტებს. მდინარის აუზის მართვის დაგეგმვის პროცესში შესაბამისი მონიტორინგის პროგრამებით შესაძლებელი უნდა იყოს მაღალი ალბათობითა და სიზუსტით წყლის ობიექტის მიკუთვნება ცალკე ეკოლოგიური სტატუსის კლასისადმი. (სურათი 5)

⁵ EU წყლის ჩარჩო დირექტივა, დანართი 2, თავი 1.1.

⁶ EU წყლის ჩარჩო დირექტივის სახელმძღვანელო დოკუმენტი #13 “წყლის სტატუსების კლასიფიკაცია და ეკოლოგიური პოტენციალი”



სურათი 5: წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია სტატუსის განსხვავებების მიხედვით

ადამიანის საქმიანობით გამოწვეული შედეგები მუდმივად ცვალებადია, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებები წყლის სტატუსში ყოველთვის უნდა დაფიქსირდეს წყლის ობიექტის საზღვრების დადგენისას, რათა უზრუნველყოფილ იქნას წყლის ობიექტის იდენტიფიკაციის მასშტაბისობა სტატუსის აღწერასთან.

ზეწოლების, ზეგავლენისა და სტატუსის საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. წყლის სტატუსის შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, ზედაპირული წყლის ობიექტის საზღვრების დადგენისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ზეწოლების და ზეგავლენების ანალიზის⁷ შედეგები.

თავდაპირველად შესაძლებელია არ არსებობდეს საკმარისი ინფორმაცია წყლის სტატუსის ზუსტი განსაზღვრისათვის. აქედან გამომდინარე, აუზის მართვის გეგმის მომზადების პირველ ეტაპზე შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს ზეწოლებისა

⁷ EU წყლის ჩარჩო დირექტივის სახელმძღვანელო დოკუმენტი #3 “ზეწოლა-ზემოქმედების ანალიზი”


და ზეგავლენის ანალიზის ჩატარება მიახლოებითი სტატუსის მისაღებად. სტატუსის განსაზღვრის დახვეწასთან ერთად შესაძლებელი გახდება წყლის ობიექტების საზღვრების შესწორება. ერთი და იგივე სტატუსის მქონე მოსაზღვრე ობიექტები შეიძლება გაერთიანდეს გაუმართლებელი დანაწევრების თავიდან ასაცილებლად.

8. ზედაპირული წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია დაცული ტერიტორიების საზღვრების გათვალისწინებით

მდინარის აუზის ინტეგრირებული მართვისთვის განხილულ უნდა იქნას ყველა დაცული ტერიტორიის არსებული საზღვრები. იმ შემთხვევაში, თუ წყლის ობიექტი მთლიანად არ ექცევა დაცული ტერიტორიის ფარგლებში ან მის გარეთ, შესაძლებელია განხილულ იქნას წყლის ობიექტის დაყოფა, რათა მათი საზღვრები დაემთხვეს.

მუხლი 9. ძლიერ მოდიფიცირებული და ხელოვნური წყლის ობიექტები

ძლიერ მოდიფიცირებული და ხელოვნური წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია და მათი საზღვრების დადგენა შეიძლება მოხდეს იქ, სადაც ვერ ხერხდება კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევა, რისი მიზეზიცაა ზედაპირული წყლის ჰიდრომორფოლოგიურ თვისებებზე ზეგავლენით გამოწვეული ფიზიკური ცვლილებები. ძლიერ მოდიფიცირებული და ხელოვნური წყლის ობიექტების საზღვრებს პირველ რიგში განაპირობებს იმ ჰიდრომორფოლოგიური მახასიათებლების ცვლილების გავრცელების მასშტაბი, რომლებიც თავის მხრივ შედეგად მოსდევს ადამიანის საქმიანობით გამოწვეულ ფიზიკურ ცვლილებებს და ხელს უშლის კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევას. (სურათი 6)



სურათი: 6: წყლის ობიექტების საზღვრების დადგენა ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტების იდენტიფიკაციის და შემოდგომა მონიშვნის გზით

მუხლი 10. ზედაპირული წყლის მცირე ზომის ელემენტები

ზედაპირული წყლები მოიცავს დიდი რაოდენობის მცირე ზომის წყლებსაც, რომელთა მართვა შეიძლება დაკავშირებული იყოს მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ სირთულეებთან. მცირე წყლის ობიექტების ზომის ზღვრული მაჩვენებელი არ არის დადგენილი, მაგრამ წყლის ობიექტების ტიპობრივი დეფერენციაციის მეთოდოლოგიის მიხედვით, ზომის მინიმალური დიაპაზონი მდინარისთვის არის 10-100 კმ² წყალშემკრები აუზის ფართობი, ხოლო ტბისთვის 0.5-1კმ² ზედაპირის პართობი.


ადმინისტრაციული სირთულეების თავიდან აცილების მიზნით შეიძლება საჭირო გახდეს წყლის ელემენტების ჯგუფებად გაერთიანება.

სადაც ეს შესაძლებელია, ზედაპირული წყლის მცირე ზომის ელემენტები შეიძლება შეუერთდეს ზედაპირული წყლის იმავე კატეგორიის და ტიპის მოსაზღვრე მოზრდილ წყლის ობიექტს.

სადაც ეს შეუძლებელია, ზედაპირული წყლის მცირე ზომის ელემენტები უნდა შეფასდეს და გაიცხრილოს მათი დამოუკიდებელ წყლის ობიექტებად იდენტიფიკაციის თვალსაზრისით მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით. შეფასებისას უნდა გათვალისწინებულ იქნას ეკოლოგიური მნიშვნელობა, დაცული

ტერიტორიის ამოცანებისთვის მნიშვნელობა, მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება სააუზო ტერიტორიული ერთეულის სხვა ზედაპირულ წყალზე. ამ შეფასების შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელია მოხდეს ზედაპირული წყლის იმ მცირე ზომის ერთეულების დაჯგუფება, რომლებიც ა) ერთსა და იმავე კატეგორიასა და ტიპს განეკუთვნება; ბ) ერთი და იმავე კატეგორიის და დონის ზეწოლას განიცდის და გ) რომელიც ზემოქმედებს წყლის სხვა ობიექტზე.

ზედაპირული წყლის ის მცირე ზომის ელემენტები, რომელიც არ არის იდენტიფიცირებული როგორც ზედაპირული წყლის ობიექტი, დაცული უნდა იყოს და საჭიროებისამებრ უნდა მოხდეს მათი გაუმჯობესება იმ დონემდე, რაც აუცილებელია იმ წყლის ობიექტების გარემოსდაცვითი ამოცანების⁸ შესასრულებლად, რომლებთანაც ისინი პირდაპირ ან ირიბ კავშირში არიან. (სურათი 7)



სურათი 7: მცირე ზომის ზედაპირული წყლების სათანადო დაცვის უზრუნველყოფის მიდგომა

მუხლი 11. ჭაობების იდენტიფიკაცია წყლის ობიექტებად

⁸ EU წყლის ჩარჩო დირექტივა მუხლი 4.1


ჭაობების ასოცირება უნდა მოხდეს იმ წყლის ობიექტთან, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს მასზე და ეს ზემოქმედება უკავშირდება წყლის ობიექტის სტატუსს. ასეთი ჭაობების იდენტიფიკაცია და მათი საზღვრების დადგენა უნდა მოხდეს ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით⁹, რათა შეესაბამებოდეს „განცალკევებული და მნიშვნელოვანი“ ელემენტების პრინციპებს.

თავი III

მიწისქვეშა წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის პრინციპები და პროცედურა

მუხლი 12. მიწისქვეშა წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის პროცედურა

მიწისქვეშა წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის პროცედურა აღწერილია სურათ 8-ში.



სურათი 8: მიწისქვეშა წყლის ობიექტების იდენტიფიკაციის სქემა


⁹ EU წყლის ჩარჩო დირექტივის სახელმძღვანელო დოკუმენტი #12 “ჭაობების როლი წყლის ჩარჩო დირექტივაში”

მუხლი 13. მიწისქვეშა წყლის იდენტიფიკაცია წყლის ობიექტებად
13.1 მიწისქვეშა წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია მნიშვნელოვანი ნაკადისა და მნიშვნელოვანი წყლის ნაკადის აბსტრაქციის გათვალისწინებით

იმისათვის, რომ მოხდეს მიწისქვეშა წყლის იდენტიფიკაცია წყლის ობიექტად, უნდა დადგინდეს, გააჩნია თუ არა მას წყლის მნიშვნელოვანი ნაკადი და შესაძლებელია თუ არა მნიშვნელოვანი რაოდენობის წყალაღების განხორციელება.

მიწისქვეშა წყლის ნაკადი ითვლება მნიშვნელოვნად, თუ მასთან ასოცირებული ზედაპირული წყლის ობიექტისათვის ან პირდაპირ დამოკიდებული სახმელეთო ეკოსისტემისათვის მისი მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში მოხდება ამ ზედაპირული წყლის ობიექტის ეკოლოგიური და ქიმიური ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, ან პირდაპირ დამოკიდებული სახმელეთო ეკოსისტემის მნიშვნელოვანი დაზიანება.

მნიშვნელოვან რაოდენობად ითვლება ის მიწისქვეშა წყლის ობიექტი, რომელიც გამოიყენება ან რომლის გამოყენებაც დაგეგმილია საშუალოდ 10 მ3 რაოდენობის წყალაღებისათვის დღეში და/ან ემსახურება ან შეიძლება მოემსახუროს 50 ან მეტ ადამიანს. (სურათი 9)



სურათი 9: ჰიდრო გეოლოგიური შრის წყალშემცველ ჰორიზონტად კვალიფიცირების კრიტერიუმები

ეს მოთხოვნები განსხვავდება წყლის იმ ობიექტისთვის, რომელიც განსაზღვრულია სასმელი წყლის მოპოვებისთვის ან იმ ობიექტისთვის, საიდანაც მიწისქვეშა წყლის მოპოვება ხდება სხვა მოხმარებისთვის.


მიწისქვეშა წყლის ობიექტების გამოყოფა ისე უნდა მოხდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნას მიწისქვეშა წყლის რაოდენობრივი და ქიმიური სტატუსის სათანადო აღწერა. აუცილებელი არ არის მიწისქვეშა წყლის ობიექტი ჰომოგენური იყოს ბუნებრივი მახასიათებლების ან მასში დამაბინძურებლების კონცენტრაციის, ან დონის ცვლილების თვალსაზრისით.

მიწისქვეშა წყლის ობიექტების გამოყოფამ უნდა უზრუნველყოს წყლის რაოდენობრივი სტატუსის საიმედო შეფასება. რაოდენობრივი სტატუსი შეიძლება დადგინდეს ხანგრძლივი მონიტორინგის მონაცემებით ან მოხდეს წყლის ბალანსის გამოთვლა.

მიწისქვეშა წყლის ობიექტის გამოყოფისას უნდა გათვალისწინებულ იქნას წყლიანი ფენების კონკრეტული მახასიათებლები. როდესაც გვაქვს წყლის მნიშვნელოვანი ნაკადი განსხვავებული მახასიათებლების შრეებს შორის (მაგალითად, კარსტულ და ქვიშის შრეებს შორის), შესაძლებელია წყლის ობიექტების გამოყოფა მოხდეს შრეებს შორის საზღვრების მიხედვით, მაგრამ ისე, რომ რაოდენობრივი სტატუსის ადეკვატური შეფასების უნარი შენარჩუნებულ იყოს.

13.2 მიწისქვეშა წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია გეოლოგიური და ნაკადების ცვალებადობის ჰიდრაულიკური საზღვრების გათვალისწინებით

მიწისქვეშა წყლის ობიექტის გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას პირველ რიგში გათვალისწინებულ უნდა იქნას ნაკადის გეოლოგიური საზღვრები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სტატუსის აღწერა და ეკოლოგიური ამოცანების ეფექტური მიღწევა მოითხოვს მიწისქვეშა წყლის უფრო მცირე ქვე-ობიექტებად დაყოფას. ასეთ შემთხვევაში დაყოფა უნდა მოხდეს ჰიდრაულიკური საზღვრების მიხედვით და უნდა დაეფუძნოს მიწისქვეშა წყლის უმაღლეს წერტილებს ან, საჭიროებისამებრ, მიწისქვეშა წყლის ნაკადის მიმართულებას. (სურათი 10)



1. მიწისქვეშა წყლის სტატუსის ცვლილება წელიწადი ფენის ან ფენების დაყოფის საჭიროების ინდიკატორია
2. მიწისქვეშა წყლის ობიექტები გამოყოფა წარმოებს გეოლოგიური ან პიდრავლიკური საზღვრების მიხედვით რაოდენობრივი სტატუსის კლასიფიკაციის მისაღწევად

სურათი 10: წყალშემცველი ჰორიზონტების წყლის ობიექტებად დაყოფა ჰიდრავლიკური საზღვრების გამოყენებით

13.3 მიწისქვეშა წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია ზედა და ქვედა საზღვრების დადგენის გათვალისწინებით

მიწისქვეშა წყლის ობიექტის გამოყოფა უნდა მოხდეს სამ განზომილებაში¹⁰. წელიწადი ფენის ან ფენების ფარგლებში მიწისქვეშა წყლის სიღრმე, რომელიც დაცვას და საჭიროებისამებრ გაუმჯობესებას მოითხოვს, უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად, არსებული რისკების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ გარეგანი ჩარევის უმეტესი ნაწილი ზემოქმედებას ახდენს მიწისქვეშა წყლის ნაკადის შედარებით ზედაპირულ კომპონენტზე, ღრმა ნაკადი შეიძლება მაინც მნიშვნელოვანი იყოს ზედაპირზე არსებული ეკოსისტემისათვის. კერძოდ, მიწისქვეშა წყლის ღრმა ნაკადის ცვლილებამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს შედარებით ზედაპირულ მიწისქვეშა წყალზე და შედეგად, მასთან დაკავშირებული ზედაპირული ეკოსისტემების ქიმიური და ეკოლოგიური ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ღრმა მიწისქვეშა წყალი შესაძლოა სასმელი ან სხვა გამოყენების წყლის რესურსს წარმოადგენდეს.

¹⁰ EU წყლის ჩარჩო დირექტივა, დანართი 2, თავი 2.1. და 2.2.

ღრმა მიწისქვეშა წყლის იდენტიფიკაცია წყლის ობიექტად არ არის საჭირო მაშინ, როცა: (ა) მიწისქვეშა წყალს არ შეუძლია ნეგატიური ზემოქმედება იქონიოს ზედაპირულ ეკოსისტემებზე; (ბ) მიწისქვეშა წყალი არ გამოიყენება წყალაღებისთვის; (გ) მიწისქვეშა წყალი გამოუსადეგარია სასმელად, მისი ბუნებრივი მახასიათებლების ან იმის გამო, რომ ტექნიკურად შეუძლებელია ან შეუსაბამოდ ძვირია მისი მოპოვება; (დ) მიწისქვეშა წყალი რისკს ვერ შეუქმნის სხვა მასთან დაკავშირებულ ამოცანებს.

მიწისქვეშა წყალი შეიძლება გამოიყოს ვერტიკალური სიბრტყის განსხვავებულ შრეებში ერთმანეთზე განლაგებულ ცალ-ცალკე ობიექტებად ან ერთ მთლიან ობიექტად, რომელიც სხვადასხვა შრეებში გადადის. ეს გადწყვეტილება უნდა მიღებულ იქნას წყლიანი ფენებისა და გარეგანი მახასიათებლების გათვალისწინებით.

მიწისქვეშა წყლის ობიექტის ზედა და ქვედა საზღვრების დადგენისას, რაც პირდაპირ უკავშირდება რაოდენობრივი სტატუსის შეფასებას, პირველ რიგში უნდა გათვალისწინებულ იქნას გეოლოგიური საზღვრები და შემდეგ სხვა ჰიდრაულიკური საზღვრები, როგორცაა ნაკადის მიმართულება.

13. 4 მიწისქვეშა წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია სტატუსის განსხვავებების გათვალისწინებით (სტატუსის კრიტერიუმი)

მიწისქვეშა წყლის ობიექტებთან დაკავშირებული მიზნები და მათი მიღწევისთვის საჭირო ღონისძიებები დამოკიდებულია ამ წყლების არსებულ სტატუსზე. შესაბამისად, მიწისქვეშა წყლის ობიექტების საზღვრების დადგენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მიწისქვეშა წყლის სტატუსის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას წყლის ობიექტის ფარგლებში მიწისქვეშა წყლის სტატუსის ზუსტი აღწერა. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნას სტატუსის შეფასების საიმედოობა. იქ, სადაც სტატუსი მდგრადია, შესაძლებელია მიწისქვეშა წყლის მოზრდილი ობიექტის გამოყოფა. იქ, სადაც დაგეგმვის ერთი ციკლის განმავლობაში განსხვავებები თანდათან მცირდება, შესაძლებელია მომდევნო დაგეგმვის ციკლების ამოცანებისთვის ერთი და იგივე სტატუსის მქონე მიწისქვეშა წყლის ობიექტების გაერთიანება. თუმცა წყლის ობიექტები უცვლელი უნდა იყოს სულ ცოტა, დაგეგმვის ერთი ციკლის განმავლობაში.

13. 5 მიწისქვეშა წყლის ობიექტის მიკუთვნება სააუზო უბნისთვის

მიწისქვეშა წყლის ობიექტი უნდა მიეკუთვნოს სააუზო მართვის ერთ რომელიმე სააუზო უბანს.

თავი IV წყლის ობიექტების აგრეგაცია

მუხლი 14. წყლის ობიექტების აგრეგაცია

გარკვეულ სიტუაციაში, შეიძლება მოხდეს წყლის ობიექტების აგრეგაცია. განსაკუთრებით, ეს შეეხება წყლის მცირე ობიექტებს. ერთი და იგივე სტატუსის მქონე მოსაზღვრე ელემენტები შეიძლება სტატუსის დადგენის შემდეგ გაერთიანდეს.

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტები შეიძლება დაჯგუფდეს მონიტორინგის, ანგარიშგების და მართვის მიზნით, იმ შემთხვევაში, როცა ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ქვეჯგუფების ინდიკატიური ან რეპრეზენტატიური წყლის ობიექტების მონიტორინგი უზრუნველყოფს მონიტორინგის და განსაკუთრებით წყლის ობიექტის სტატუსის კლასიფიკაციის სანდოობისა და სიზუსტის სათანადო ხარისხს.

წყლის ობიექტების აგრეგაცია უნდა მოხდეს მკაფიო კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შეთანხმებული უნდა იყოს მდინარის სააუზო მართვის ტერიტორიის დონეზე, ტრანსპარენტულობის დაცვით.